ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ივლისი 2025 წელი

ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის ალეკო თეთრაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მსახიობის ალეკო თეთრაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

X=476318 Y=4625214
1:2,000
ალეკო თეთრაშვილის ქ.
X=476269 Y=4624958

10/03251893-03
შემოქმედებითი გაერთიანება „ლომისი„
CREATIVE ASSOCIATION „LOMISI„
№ 017
08.07.2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს ლევან აბაშიძეს

მოგმართავთ თხოვნით, ცნობილი მსახიობის და იუმორისტის, ყველასათვის საყვარელი პიროვნების, ალეკო თეთრაშვილის სახელი მიენიჭოს ქუჩას ქალაქ თბილისში, სოფ. დიღმის იმ რაიონში, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა. ალეკო თეთრაშვილი გამორჩეული მოქალაქე გახლდათ, რომელიც თავისი ცხოვრების წესით, პროფესიონალიზმით, ქალაქის წინაშე მისი დამსახურებით, უთუოდ ეკუთვნის, რომ დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი ამშვენებდეს.

ალეკო თეთრაშვილმა შეძლო ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე უფრო რთულ წლებში მთავარი რამ მიეცა ჩვენი საზოგადოებისთვის - ღიმილი, სიცილი, სიკეთის მუხტი, ხვალინდელი დღის იმედი. ყველგან, სცენასა თუ ტელეეკრანზე, ათიათასობით ქართველი მაყურებლისთვის უსაყვარლეს პროექტებში - „პასეანსი“ „იუმორინა“ და სხვ. ალეკო თეთრაშვილი წამყვან როლს ასრულებდა და უმნიშვნელოვანესი წვლილი შეჰქონდა ამ პროექტების ხანგრძლივ შემოქმედებით წარმატებასა და საერთო-სახალხო აღიარებაში. გარდა ამისა, ალეკო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრ „მოდი ნახეს“ დასის წევრი და წამყვანი მსახიობი გახლდათ და დიდი წარმატებით აქვს ჩატარებული სპექტაკლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

სახელოვნებო სფეროში, მისი თვალსაჩინო მიღწევების პარალელურად, ალეკო თეთრაშვილი ღირსეული ქართველი კაცი გახლდათ, საუკეთესო მეგობარი, გვერდში მდგომი და მოყვასი კაცი, რომლის ხსოვნასაც სათუთად ინახავს გულში ათასობით ჩვენი თანამოქალაქე.

ხსენებული უბნის ერთ-ერთი ქუჩისთვის ალეკო თეთრაშვილის სახელის მინიჭებას სიხარულით შეხვდება იქ მცხოვრები საზოგადოება, რისი დასტურიც გახლავთ ადგილობრივი მაცხოვრებლების ამ ინიციატივის მხარდამჭერი საერთო წერილი.

დარწმუნებული ვართ, ალეკო თეთრაშვილის სახელის უკვდავყოფით სასიკეთო საქმე გაკეთდება თბილისისთვის და თბილისელებისთვის, რომელთაც გამორჩეულად უყვარდათ იგი.

0179 საქართველო, ქ.თბილისი, ყიფშიძის 9ბ
Kipshidze Str. 0179. Tbilisi. Georgia

1. ჯემალ ბაღაშვილი
2. გია ბაღაშვილი
3. ზაზა მამალაძე
4. ვახტანგ ტატიშვილი
5. მანანა თოდაძე
6. ბესო ბერულაშვილი
7. მერაბ გეგეჭკორი
8. ნინაკა გელაშვილი
9. მერაბ სიჭინავა
10. გია დავითიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-03251988**
თარიღი: **17/07/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი შემოქმედებითი გაერთიანება "ლომისის" 2025 წლის 17 8 ივლისის საქმე #10/032518931-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია სოფელ დიღომში მდებარე ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის იუმორისტ ალეკო თეთრაშვილის სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში ალეკო თეთრაშვილის ქუჩა) დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01252031791**
თარიღი: **22/07/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

17-01252033-03.

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 17.07.2025 წლის #03-03251988 (17.07.2025წ. #14-01251981283-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი